

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

		31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4 190 839	3 818 033
		4 190 839	3 818 033
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	24 336	25 258
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	74 781	749 127
მარაგები	6	1 725 902	2 166 105
		1 825 018	2 940 490
მთლიანი აქტივები		6 015 858	6 758 523
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 399 493	2 571 427
		1 399 593	2 571 527
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	3 174 850	2 803 651
		3 174 850	2 803 651
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	713 776	329 356
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	679 898	1 020 314
საგადასახადო ვალდებულებები		47 741	33 674
		1 441 415	1 383 344
მთლიანი ვალდებულებები		4 616 265	4 186 996
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6 015 858	6 758 523

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



6-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ბასა სერამიკა“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

		31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	9	3 910 783	5 737 408
თვითღირებულება		(2 196 033)	(3 196 670)
საერთო მოგება		1 714 750	2 540 738
სხვა შემოსავლები		6 879	43 992
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(1 227 914)	(1 230 063)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11	(147 281)	785 173
სხვა ხარჯები		(10 855)	(751)
საოპერაციო მოგება		335 580	2 139 090
ფინანსური შემოსავალი	12	47 110	54 786
ფინანსური ხარჯი	12	(754 624)	(164 891)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	12	(707 515)	(110 105)
მოგება დაბეგვრამდე		(371 934)	2 028 985
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(371 934)	2 028 985
მთლიანი სრული შემოსავალი		(371 934)	2 028 985

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



6-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 1 იანვარი	100	-	1 384 698	1 384 798
წმინდა მოგება	-	-	2 028 985	2 028 985
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2 028 985	2 028 985
გაცემული დივიდენდი	-	-	(842 255)	(842 255)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	100	-	2 571 427	2 571 527
წმინდა მოგება	-	-	(371 934)	(371 934)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(371 934)	(371 934)
გაცემული დივიდენდი	-	-	(800 000)	(800 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	100	-	1 399 493	1 399 593

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



6- 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ბასა სერამიკა (შემდგომში – კომპანია) (406024234) დაფუძნდა 2010 წლის 14 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, მოსკოვის გამზ., კორპ. 11, ბინა 13

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა კერამიკული ფილებით: კაფელი, მეტლახი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, და 2022 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია უკანდაბრუნებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს

გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ცვეთის ნორმა (%)

შენობა	5
ოფისის აღჭურვილობა	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20
ტრანსპორტი	20
სხვა ძირითადი საშუალება	15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1 იანვარი 2023	5 000	3 551 206	45 678	145 595	37 432	33 121	3 818 033
შემოსვლა	-	-	490 178	1 978	-	-	492 156
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	5 000	3 551 206	535 856	147 573	37 432	33 121	4 310 189
პერიოდის ცვლა	-	(73 219)	-	(29 072)	(532)	(16 527)	(119 350)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ცვლა და გაუფასურება	-	(73 219)	-	(29 072)	(532)	(16 527)	(119 350)
წმინდა საბალანსო ღირებულება	5 000	3 477 987	535 856	118 501	36 900	16 594	4 190 839
1 იანვარი 2023	5 000	3 477 987	535 856	118 501	36 900	16 594	4 190 839
31 დეკემბერი 2023	5 000	3 477 987	535 856	118 501	36 900	16 594	4 190 839

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023	2022
ნაღდი ფული სალაროში	11 769	8 013
ეროვნული ვალუტა ბანკში	10 963	17 130
უცხოური ვალუტა ბანკში	1 604	115
სულ	24 336	25 258

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	67 457	94 545
გადახდილი ავანსები	7 324	60 794
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	593 788
სულ	74 781	749 127

6. მარაგები

მარაგები

	2023	2022
მზა პროდუქცია	1 725 902	2 166 105
სულ	1 725 902	2 166 105

7. სესხები

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 18 აგვისტო 2028 წელი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4,5 %.

სესხები	2023	2022
გრძელვადიანი საბანკო სესხები	3 174 850	2 803 651
	3 174 850	2 803 651
მოკლევადიანი საბანკო სესხები (მოკლევადიანი)	713 776	329 356
სულ სესხები	3 888 626	3 133 007

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	555 452	977 789
მიღებული ავანსები	124 446	42 525
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
სულ	679 897	1 020 314

9. ამონაგები

ამონაგები	2023	2022
საქონლის გაყიდვა	3 910 783	5 737 408
სულ	3 910 783	5 737 408

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	(723 139)	(752 943)
მივლინების ხარჯები	(12 011)	(1 639)
სხვა ხარჯი	(32 670)	(14 204)
ტრანსპორტირების ხარჯი	(186 375)	(190 532)
იჯარის ხარჯი	(116 272)	(130 766)
ოფისის ხარჯი	(16 014)	(18 549)
კომუნალური ხარჯები	(15 935)	(17 326)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(4 780)	(4 780)
ცვეთა და ამორტიზაცია	(119 350)	(99 325)
სულ	(1 227 914)	(1 230 063)

11. სხვა შემოსულობა/(ზარალი)

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2023	2022
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(147 281)	785 173
სულ	(147 281)	785 173

12. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური ხარჯი	2023	2022
გაცემული სესხის ჩამოწერა	(581 750)	0
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(172 874)	(164 891)
სულ ფინანსური დანახარჯები	(754 624)	(164 891)
ფინანსური შემოსავალი	2023	2022
გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	47 110	54 786
სულ ფინანსური შემოსავალი	47 110	54 786
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(707 515)	(110 105)

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც ზოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

14. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2023 წლის 20 ივნისს.

